

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	231187168

დაწესებულება ახორციელებს	
ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებს	კი
მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებს	კი
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს	კი
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს	კი
სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს	კი

პროგრამის დამატების სურვილი (კი/არა)	არა
--------------------------------------	-----

შენიშვნა: დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ან სურს დამატებით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ავსებს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიურ ანგარიშს.

ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების ნომერი	№118
გადაწყვეტილების მიღების თარიღი	2011 წლის 4 აგვისტო
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 32 ² -ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2011–2015 წლებში, ავტორიზაციის 5-წლიანი ვადა გაუგრძელდა 1 წლით (2018 წლის 24 სექტემბერი)

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თელავი
იურიდიული მისამართი	ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1
საფოსტო ინდექსი	2200
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.tesau.edu.ge;
დაწესებულების ელ-ფოსტა	info@tesau.edu.ge
ტელეფონი/ფაქსი	0350 272401 / 0350 273264
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი	ირმა შიოშვილი
ტელეფონი/ფაქსი	0350 272401 / 0350 273264
ელ-ფოსტა	rector@tesau.edu.ge;
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	მზია მაისურაძე

უმადლეხი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

ტელეფონი/ფაქსი	0350 272614
ელ-ფოსტა	administration@tesau.edu.ge ;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	შალვა ჭკადუა
ტელეფონი/ფაქსი	0350 27 59 82 / 599 323810;
ელ-ფოსტა	quality@tesau.edu.ge ; shalvatch@yahoo.com ;
რექსტრის წარმობაზე პასუხისმგებელი პირი	მაია აზიკური
ტელეფონი/ფაქსი	0350275982 / 599 747775
ელ-ფოსტა	maia.azikuri@tesau.edu.ge

ავტორიზაციის სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)

აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა ერთგვაროვანია; იგი შეიცავს:

- ა) პროგრამის სახელწოდებას;
- ბ) მისანიჭებელ კვალიფიკაციას;
- გ) პროგრამის მოცულობას კრედიტებით;
- დ) სწავლების ენას;
- ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე;
- ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობას;
- ზ) სწავლის შედეგებს;
- თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებს;
- ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემას;
- კ) სასწავლო გეგმას / სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით;
- ლ) სასწავლო კურსების /სილაბუსების/ მიხედვით საკონტაქტო და არასააუდიტორიო საათების განაწილების სქემას;
- მ) საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის დახასიათებას დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების 6 ჯგუფის შესაბამისად;
- ნ) სასწავლო კურსების ანოტაციებს.

პროგრამებს თან ახლავს:

- ა) სასწავლო კურსების გეგმები (სილაბუსები);
- ბ) ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ;
- გ) პროგრამის დამტკიცების აქტი .

საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია და დამტკიცებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების მიღებისა და შეცვლის წესის შესაბამისად.

პროგრამების ჩამონათვალი რომლის განხორციელების უფლებაც აქვს დაწესებულებას						
ბაკალავრიატი						
№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული)	მიუთითეთ შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ისტორია	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ისტორიაში 1004	240	აკრედიტებული	04.11.2011; # 230
2	ქართული ენა და ლიტერატურა	ქართული	ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 1005	240	აკრედიტებული	04.11.2011; # 231
3	ინგლისური ენა და ლიტერატურა	ქართული	ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 1005	240	აკრედიტებული	04.11.2011; # 232
4	ფრანგული ენა და ლიტერატურა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფილოლოგიაში 1005	240	აკრედიტებული	04.11.2011; # 234
5	გერმანული ენა და ლიტერატურა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფილოლოგიაში 1005	240	აკრედიტებული	04.11.2011; # 233
6	საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორია	ქართული	ისტორიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 1004	240	ავტორიზებული მიღწევა	

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

7	სტილისტ კორექტორი	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებული	12.03.2012 . #35
8	რუსული ენა და ლიტერატურა	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებული	04.11.2011; # 236
9	ქართული ლიტერატურა	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებული	04.11.2011; # 235
10	კულტურის კვლევები	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებული	04.11.2011; # 239
11	ისტორია	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებული ძირითად პროგრამასთან ერთად	
12	ინგლისური ენა და ლიტერატურა	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებული ძირითად პროგრამასთან ერთად	
13	ფრანგული ენა და ლიტერატურა	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებული ძირითად პროგრამასთან ერთად	
14	გერმანული ენა და ლიტერატურა	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებული ძირითად პროგრამასთან ერთად	
15	საჯარო მმართველობა	ქართული	1109 საჯარო მმართველობის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	18.11.2011 ოქმი #11 გადაწყვეტილება # 314 (18.11.2011)
16	ჟურნალისტიკა	ქართული	0703 ჟურნალისტიკის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	18.11.2011 ოქმი #11 გადაწყვეტილება # 313 (18.11.2011)
17	ტურიზმი	ქართული	0205 ტურიზმის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	18.11.2011 ოქმი #11 გადაწყვეტილება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითმფასების წლიური ანგარიში

						# 316 (18.11.2011)
18	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	02 ბიზნესის ადმინისტრირები ს ბაკალავრი	240	აკრედიტებუ ლი	12.03.2012 ოქმი #2 გადაწყვეტი ლება # 37 12.03.2012
19	სამართლი	ქართული	06 სამართლის ბაკალავრი	240	აკრედიტებუ ლი	12.07.2016 ოქმი #41 7 წლის ვადით
	ეკონომიკა	ქართული	0701 ეკონომიკის ბაკალავრი	240	აკრედიტებუ ლი	28.06.2016 ოქმი #24 7 წლის ვადით
19	მენეჯმენტი და ადმინისტრირება	ქართული	0203 მენეჯმენტის ბაკალავრი	240	ავტორიზებ ული მიღევადი	
20	საბუღალტრო და საგადასახადო საქმე	ქართული	0201 საბუღალტრო აღრიცხვის ბაკალავრი	240	ავტორიზებ ული მიღევადი	
21	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებუ ლი ძირითდ პროგრამასთ ან ერთად	
22	ჟურნალისტიკა	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებუ ლი ძირითდ პროგრამასთ ან ერთად	
23	ტურიზმი	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებუ ლი ძირითდ პროგრამასთ ან ერთად	
24	მშენებლობის მენეჯმენტი	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებუ ლი	12.03.2012 ოქმი #2 გადაწყვეტი ლება # 36 (12.03.2012)
25	პროექტის მენეჯმენტი	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებუ ლი	12.03.2012 ოქმი #2 გადაწყვეტი ლება # 34

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

						(12.03.2012)
26	ფსიქოლოგია	ქართული	მაინორი	60	ავტორიზებული მიღვევადი	
27	საზუღალტრო და საგადასახადო საქმე	ქართული	მაინორი	60	ავტორიზებული მიღვევადი	
28	აგრონომია	ქართული	აგრონომიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 0101	240	აკრედიტებული	18.11.2011. N11
29	სატყეო საქმე	ქართული	სატყეო საქმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 0105	240	აკრედიტებული	18.11.2011. N11
30	სასურსათო ტექნოლოგია	ქართული	სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 0104	240	აკრედიტებული	18.11.2011. N11
31	აგროეკოლოგია	ქართული	აგრარული მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 0101	240	ავტორიზებული	
32	აგროტექნოლოგია	ქართული	აგრარული მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 0101	240	ავტორიზებული	
33	აგრონომია	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებული ძირითად პროგრამასთან ერთად	
34	სატყეო საქმე	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებული ძირითად პროგრამასთან ერთად	
35	სასურსათო ტექნოლოგია	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებული ძირითად პროგრამასთან ერთად	
36	ეკოლოგია	ქართული	1102 ეკოლოგიის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№331, 18.11.2011

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

37	გეოგრაფია	ქართული	0505 გეოგრაფიის ს ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№312, 18.11.2011
38	ფიზიკა	ქართული	0502 ფიზიკის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№310, 18.11.2011
39	ბიოლოგია	ქართული	ბიოლოგიის ბაკალავრი 0504	240	აკრედიტებული	№ 419, 09.12.2011
40	მათემატიკა	ქართული	მათემატიკის ბაკალავრი 0501	240	აკრედიტირებული	№310, 02.08.2012; № 662. 08.11.2012
41	ინფორმაციული ტექნოლოგიები	ქართული	ინფორმატიკის ბაკალავრი 0401	240	აკრედიტირებული	№420, 09.12.2011
42	გარემოსმცოდნეობა	ქართული	გარემოს მცოდნეობის ბაკალავრი 1102	240	ავტორიზებული	
43	მონაცემთა დამუშავებისა და მართვის ავტომატიზირებული სისტემები	ქართული	ინფორმატიკის ბაკალავრი 0401	240	ავტორიზებული	
44	ფარმაცია	ქართული	ფარმაციის ბაკალავრი 0903	240	ავტორიზებული	
45	ენერგეტიკა	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებული	№322, 18.11.2011
46	ბიოლოგია	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებული ძირითად პროგრამასთ ან ერთად	
47	ეკოლოგია	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებული ძირითად პროგრამასთ ან ერთად	
48	გეოგრაფია	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებული ძირითად პროგრამასთ ან ერთად	
49	მათემატიკა	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებული ძირითად პროგრამასთ ან ერთად	
50	ფიზიკა	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებული	

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

					ძირითად პროგრამასთან ერთად	
51	ინფორმაციული ტექნოლოგიები	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებული ძირითად პროგრამასთან ერთად	
52	გარემოსმცოდნეობა	ქართული	მაინორი	60	ავტორიზებული	
53	საზოგადოებრივი გეოგრაფია	ქართული	მაინორი	60	ავტორიზებული	
54	ენის კომპიუტერული მოდელირება	ქართული	მაინორი	60	ავტორიზებული	
55	გამოყენებითი ფიზიკა	ქართული	მაინორი	60	ავტორიზებული	
56	დაწყებითი განათლება	ქართული	0301 განათლების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	2011წ. 4 ნოემბერი ოქმი #9 გადაწყვეტილება #229
57	სპორტი	ქართული	1112 სპორტის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	2011წ. 9 დეკემბერი ოქმი #14 გადაწყვეტილება #421
58	სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო საფეხურების პედაგოგიური ფსიქოლოგია	ქართული	მაინორი	60	აკრედიტებული	2011წ.18 ნოემბერი ოქმი #11 გადაწყვეტილება #315
59	ფიზიკური აღზრდა	ქართული	0301 განათლების ბაკალავრი	240	ავტორიზებული	2011წ.4 აგვისტო ოქმი #14 გადაწყვეტილება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

						ლება#118
	მაგისტრატურა					
№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული)	მიუთითეთ შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ტიპოლოგიური ლინგვისტიკა და მთარგმნელობითი საქმე	ქართული	1005 ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი	120	აკრედიტებული	02.08.2012; # 303
2	ახალი და უახლესი ისტორია	ქართული	1004 ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი	120	აკრედიტებული	02.08.2012; # 308
3	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	0203 ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში 020301 ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 020306 ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი განათლების მენეჯმენტში	120	აკრედიტებული	02.08.2012 ოქმი #9 გადაწყვეტილება # 302 (02.08.2012)
4	ეკონომიკა	ქართული	0701 ეკონომიკის მაგისტრი	120	აკრედიტებული	28.06.2016 ოქმი # 25 7 წელი
5	განათლების მენეჯმენტი	ქართული	განათლების მენეჯმენტის მაგისტრი 020306	120	ავტორიზებული მიღწევა	2011წ.4 აგვისტო ოქმი #14 გადაწყვეტილება #118

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

5	ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია	ქართული	030201 განათლების მაგისტრი ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიაში	120	ავტორიზებული მიღწევადი	2011წ.4 აგვისტო ოქმი #14 გადაწყვეტილება #118
6	საგნის სწავლების მეთოდოლოგია (ფიზიკა, მათემატიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია, ქიმია, გერმანული ენა, ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა)	ქართული	030201 განათლების მაგისტრი: ფიზიკის სწავლების მეთოდოლოგიაში; 2.მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგიაში; 3.ბიოლოგიის სწავლების მეთოდოლოგიაში; 4.ქიმიის სწავლების მეთოდოლოგიაში; 5.გეოგრაფიის სწავლების მეთოდოლოგიაში; 6.ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიაში; 7.ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიაში; 8.გერმანული ენის სწავლების მეთოდოლოგიაში;	120	აკრედიტებული	02.08.2012 ოქმი #9 გადაწყვეტილება # 302 (02.08.2012)
7	კვების პროდუქტების ტექნოლოგიები (სასმელების ტექნოლოგია, სურსათის უვნებლობა)	ქართული	სასურსათო ტექნოლოგიის მაგისტრი სასმელების ტექნოლოგიაში (ალკოჰოლიანი, უალკოჰოლო) 010402. სასურსათო ტექნოლოგიის	120	აკრედიტებული	02.08.2012. ოქმი N9, გადაწყვეტილება N304

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

			მაგისტრი სურსათის უვნებლობაში 010403.			
8	აგროეკოლოგია	ქართული	010101 აგროეკოლოგიის მაგისტრი	120	აკრედიტებუ ლი	02.08.2012. ოქმი №9, გადაწყვეტი ლება N 306
9	სურსათის უვნებლობა	ქართული	010403 სურსათის უვნებლობის მაგისტრი	120	ავტორიზებ ული	2011.04.08. #118
10	მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია	ქართული	0505 გეოგრაფიის მაგისტრი	120	აკრედიტებუ ლი	№12, 03.01.2013
11	ბიოლოგია (ბიომრავალფერო ვნება, მიკრობიოლოგია)	ქართული	0504 ბიოლოგიის მაგისტრი	120	აკრედიტებუ ლი	№614, 08.11.2012
12	ეკოლოგია	ქართული	1102 ეკოლოგიის მაგისტრი	120	აკრედიტებუ ლი	№305. 02.08.2012
13	ფუნქციათა თეორია და ფუნქციონალური ანალიზი	ქართული	050101 წმინდა მათემატიკის მაგისტრი	120	აკრედიტებუ ლი	№99 - 28.07.2015;
14	კომპიუტერული მეცნიერებები	ქართული	კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი 040104	120	ავტორიზებ ული	
15	საინფორმაციო ტექნოლოგიები	ქართული	ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრი 040101	120	ავტორიზებ ული	
16	კონდენსირებული გარემოს ფიზიკა	ქართული	კონდენსირებულ ი გარემოს ფიზიკის მაგისტრი 050213	120	ავტორიზებ ული	
17	მიკრობიოლოგია	ქართული	მიკრობიოლოგია ს მაგისტრი 050407	120	ავტორიზებ ული	
18	ბიომრავალფეროვ ნება	ქართული	ბიომრავალფეროვ ნების მაგისტრი 050402	120	ავტორიზებ ული	
დოქტორანტურა						
№	საგანმანათლებლო პროგრამის	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	პროგრამის სტატუსი	მიუთითეთ შესაბამისი

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითმეფასების წლიური ანგარიში

	დასახელება		კვალიფიკაციის კოდის მითითებით		(ავტორიზებულ/აკრედიტებულ)	გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ტექსტოლოგია და გამოცემათ მცოდნეობა (გამოცემის თეორია)	ქართული	1005 ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი	180	აკრედიტებული	#25 / 25.02.2015
2	ახალი და უახლესი ისტორია	ქართული	1004 ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხი	180	აკრედიტებული	03.01.2013; # 13
3	ფილოლოგია; (ტიპოლოგიური ლინგვისტიკა, ქართული ლიტერატურა)	ქართული	1005 ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი	180	აკრედიტებული	03.01.2013; # 15
4	ეკონომიკა	ქართული	სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში 07 / 0701	180	აკრედიტებული	08.11.2012 ოქმი #16 გადაწყვეტილება # 618 (08.11.2012)
5	გამოყენებითი ეკონომიკა	ქართული	ეკონომიკის დოქტორი 0701	180	აკრედიტებული	28.07.2015 - № 100
6	განათლება	ქართული	1) 0301 განათლების დოქტორი განათლების მეცნიერებებში 2) 0302 განათლების დოქტორი მასწავლებლის განათლებაში (ინგლისური ენის სწავლების მეთოდის მიმართულებით)	180	აკრედიტებული	2013წ. 3 იანვარი ოქმი #1 გადაწყვეტილება # 14
7	ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო პრდუქტების წარმოების ტექნოლოგია	ქართული	0104 სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი	180	აკრედიტებული	ოქმი N16, გადაწყ. N617, 08.11.2012

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

8	ბიომრავალფეროვნება	ქართული	0504 ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი	180	აკრედიტებული	№616, 08.11.2012
8	მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია	ქართული	0505 გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხი	180	აკრედიტებული	№615, 08.11.2012
9	ეკოლოგია	ქართული	1102 ეკოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი	180	აკრედიტებული	№16, 03.01.2013
10	კომპიუტერული მეცნიერება	ქართული	0401 ინფორმატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი	180	აკრედიტებული	№ 24 / 25.02.2015
11	ფუნქციათა თეორია და ფუნქციონალური ანალიზი	ქართული	0501 მათემატიკის დოქტორი	180	აკრედიტებული	№26 28.06.2016 7 წელი
ერთსაფეხურიანი						
№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული)	მიუთითეთ შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	დიპლომირებული სტომატოლოგი	ქართული	0902 დიპლომირებული სტომატოლოგი	300	აკრედიტებული	#323. 11/18/2011
სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი: (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიული უმაღლესი (მიღვეადი))						
№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება			კრედიტების რაოდენობა		
1	მასწავლებლის მომზადების პროგრამა			60		

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითმეფასების წლიური ანგარიში

2		ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	60
4		უმაღლესი პროფესიული ეროვნული პარკებისა და დაცული ტერიტორიების რეინჯერი	180
5		უმაღლესი პროფესიული ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები	140
6		უმაღლესი პროფესიული ზოგადი პროფილის ექთანი	180
7		უმაღლესი პროფესიული კბილის ტექნიკოსი	120
8		უმაღლესი პროფესიული ფარმაცევტის თანაშემწე	120
9		უმაღლესი პროფესიული მევენახეობა-მელვინეობა	180
10		უმაღლესი პროფესიული ტურიზმისა და მოგზაურობის მენეჯმენტი	150
11		უმაღლესი პროფესიული საფინანსო საბანკო და სადაზღვევო საქმე	150
12		უმაღლესი პროფესიული ტანსაცმლის დიზაინი	180
14		უმაღლესი პროფესიული წარმოების ავტომატიზაცია და მართვა	180
15		უმაღლესი პროფესიული ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები	140
16		უმაღლესი პროფესიული ზოგადი პროფილის ექთანი	180
17		უმაღლესი პროფესიული კბილის ტექნიკოსი	120
18		უმაღლესი პროფესიული ფარმაცევტის თანაშემწე	120

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

პროგრამების ჩამონათვალი, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას			
ბაკალავრიატი			
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა
მაგისტრატურა			
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა
დოქტორანტურა			
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა
ერთსაფეხურიანი			
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა

დადასტურება	
-------------	--

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ	
აღწერა	უნივერსიტეტში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. მასში მოცემულია: უნივერსიტეტის სახელწოდება, სახე, საკონტაქტო ინფორმაცია, საგანმანათლებლო დასახელება, მისანიჭებელი კვალიფიკაციები, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები, სწავლის შედეგები, ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა და შეფასების წესი, საკონტაქტო პირი, რომელსაც შეუძლია გაუწიოს კონსულტაცია სტუდენტს. კატალოგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.tesau.edu.ge და იგი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.
დადასტურება	უნივერსიტეტის კატალოგით, რომლის ელექტრონული ვერსია დევს

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

	უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.tesau.edu.ge .
--	---

1.3 საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შედეგები აღწერილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ დარგობრივ სტანდარტებს

აღწერა	უნივერსიტეტის ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში დეტალურადაა აღწერილი სწავლის შედეგები დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების მიხედვით, რომლებიც შესაბამისობაშია კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოსთან და არსებულ დარგობრივ სტანდარტებთან. საგანმანათლებლო პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.tesau.edu.ge და ხელმისაწვდომია ყველა დანტერესებული პირისათვის.
დადასტურება	საგანმანათლებლო პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.tesau.edu.ge და ხელმისაწვდომია ყველა დანტერესებული პირისათვის.

1.4 დაწესებულებას თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები

აღწერა	<p>(სსიპ) იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულება</p> <p>განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი № 12 – 02.03.2017</p> <p>დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე: ოქმი № 3 10.03.2017</p>
დადასტურება	დებულებები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე (http://tesau.edu.ge/files/uploads/xarixi/debulebebi/tesaus_saswavlo_procesis_maregulilebeli_wesis_shesaxeb.pdf), ნაბეჭდი ვერსია ინახება აკადემიური საბჭოს სამდივნოში.

1.5 დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას

აღწერა	საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს საგნის სილაბუსები და საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა. სტუდენტებს აქვთ საშუალება გაეცნონ სილაბუსებით გათვალისწინებული საგნების შინაარსსა და საგანმანათლებლო პროგრამაში მოყვანილი საგნების ანოტაციას. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტს აირჩიოს მისთვის საჭირო პროგრამა. პროგრამებში გათვალისწინებულია არჩევითი საგნები და მოდულები, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს შექმნას საკუთარი პროფილი.
---------------	---

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

დადასტურება	<p>1. სსიპ) იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულება</p> <p>განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი № 12 – 02.03.2017</p> <p>დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე: ოქმი № 3 10.03.2017</p> <p>2. პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია.</p>
-------------	---

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი

აღწერა	<p>საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტში შემუშავებულია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი, შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარებით.</p>
დადასტურება	<p>იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტში ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, სტუდენტს შევთავაზებთ ამ პროგრამაზე სწავლის გაგრძელებას; წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დარჩენილი კრედიტების ასათვისებლად სტუდენტს მიეცემა შესაძლებლობა გაიაროს დარჩენილი სასწავლო კურსები საქართველოს ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში, რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი და რომელიც ახორციელებს გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის შესატყვის საგანმანათლებლო პროგრამას. ყოველ ასეთ შემთხვევას უნივერსიტეტი აცნობებს განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს ან შავთავაზებთ მობილობას.</p> <p>1. სსიპ) იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულება</p> <p>განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი № 12 – 02.03.2017</p> <p>დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე: ოქმი № 3 10.03.2017</p>

1.7 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, მკვლევართა ან მოწვეული პერსონალის მიერ

აღწერა	<p>თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, მკვლევართა და მოწვეული პერსონალის მიერ.</p> <p>თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის ინფორმაცია</p>
--------	---

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

	საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ. აღნიშნული პერსონალის მიერ წარმოდგენელია უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომები, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი საბუთები (შრომის წიგნაკები), გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, მონოგრაფიები, პუბლიკაციები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია, რითაც დგინდება ამა თუ იმ პერსონალის იმ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რომელშიც იგი მონაწილეობს.
დადასტურება	1. პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრის მონაცემებით; 2. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულ საგანმანათლებლო პროგრამებში მოყვანილი პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ ინფორმაციით; 3. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, მკვლევართა და მოწვეული პერსონალის მიერ უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საშუალებით.

1.8 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

აღწერა	
დადასტურება	

1.9 საანგარიშო პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან მიმართებით განხორციელებული ცვლილებები

ცვლილების აღწერა
<p>ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდა ცვლილება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძნება N 3 ის შესაბამისად. გარდა ამისა ასევე განხორციელდა სხვა ტიპის ცვლილებები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის სილაბუსში პრაქტიკის პრერეკვიზიტი შეიცვალა შემდეგი საგნებით: მენეჯმენტი II და ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები II, მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და ფინანსური მენეჯმენტი. 2) ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გაფორმდა მემორანდუმი გაზეთ „ხმა კახეთისა“-სთან; კურიკულუმს დაემატა ასისტენტ პროფესორის, თეა ლათიფაშვილის სპეცკურსი - „სოფლის მეურნეობის საკითხების გაშუქება მედიაში“. 3) სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; <ol style="list-style-type: none"> 1. სასწავლო კურსი -ფერმერული მეურნეობის საფუძვლები შეიცვალა სასწავლო კურსით- აგრობიზნესის მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლები 2. სასწავლო კურსის სახელწოდება - ტექნიკური მიკრობიოლოგია - შეიცვალა სახელწოდებით- კვების პროდუქტების მიკრობიოლოგია; 3. დაიხვეწა სტუდენტთა შეფასების სისტემა 4) მათემატიკის საბაკალავრო პროგრამა: საანგარიშო პერიოდში მათემატიკის საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:
დაიხვეწა და უფრო დაკონკრეტდა შემდეგი სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობა. ეს სასწავლო კურსებია:

1. ფუნქციონალური ანალიზი (I)
2. ელემენტარული მათემატიკის კურსი (II)
- ელემენტარული მათემატიკის კურსი (III)

- 5) ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა:
არჩევითი სასწავლო კურსები „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება II (PHP)“ და „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება III (C#)“ გახდა სავალდებულო სასწავლო კურსები. მე-8 სემესტრში არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკს დაემატა სავალდებულო სასწავლო კურსი „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი“.

- 6) აგრონომიის საბაკალავრო პროგრამა:
 1. სასწავლო კურსი - სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღები შეიცვალა სასწავლო კურსით საკვებწარმოება ;
 2. შეიცვალა პედაგოგი სასწავლო კურსში მებოსტნეობა;
 3. სასწავლო კურსი -ფერმერული მეურნეობის საფუძვლები შეიცვალა სასწავლო კურსით- აგრობიზნესის მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლები ;

- 7) კვების პროდუქტების ტექნოლოგიების (სასმელების ტექნოლოგია, სურსათის უვნებლობა) სამაგისტრო პროგრამა: სასწავლო კურსს - კვების პროდუქტების მიკრობიოლოგია - შეეცვალა დასახელება და დაერქვა- სანიტარული მიკრობიოლოგია მოხდა ზოგიერთი სასწავლო კურსის აკადემიური პერსონალის ცვლილება (კერძოდ პროგრამის განხორციელებაში ჩაერთო ახალგაზრდა კადრი , ასისტენტ პროფესორი ნინო ვეფხიშვილი).

- 8) ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია სადოქტორო პროგრამა: მოხდა აკადემიური პერსონალის ცვლილებები (კერძოდ პროგრამის განხორციელებაში ჩაერთო ახალი აკადემიური პერსონალი : მზია ღაღალიძევილი ასოცირებული პროფესორი , „ალკოჰოლიანი და აუალკოჰოლო პროდუქტების კვლევის მეთოდები“ ; რუსუდან ფირანიშვილი ასისტენტ პროფესორი „ სწავლების თანამედროვე მეთოდები“)

- 9) სამაგისტრო პროგრამა „ტიპოლოგიური ლინგვისტიკა და მთარგმნელობითი საქმე“: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ცვლილება – ასოცირებული პროფესორის მარი ცისკარიშვილის სამეცნიერო მივლინებაში (ამერიკა) წასვლის გამო, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, სასწავლო კურსი „ სოციოლინგვისტიკა“ მესამე სემესტრის ნაცვლად წაკითხულ იქნა მეოთხე სემესტრში პროფესორ ნუნუ გელდიაშვილის მიერ.

- 10) სადოქტორო პროგრამა „ფილოლოგია“: საანგარიშო პერიოდში შემუშავდა ახალი სასწავლო კურსი „ლინგვისტიკისტიკა“, რომელმაც გაიარა შიდა შეფასება. იგი გათვალისწინებულ იქნება არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალში (სილაბუსის ავტორი პროფესორი ნუნუ გელდიაშვილი). სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ წაკითხულ იქნა პროფესორ მანანა ღარიბაშვილის მიერ (მოწვეული პროფესორი შეცვალა აკადემიური თანამდებობის მქონე პირმა).

ცვლილების მიზანი

1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო :
პროგრამა გამხდარიყო სტუდენტებზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლების მისაღებად;
2. ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა:

გაზეთი “ზმა კახეთისა“- სთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, თელავის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტები ჩაერთვებიან გაზეთ „ხმა კახეთისას“ სხვადასხვა პროექტებში; ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს საშუალება ექნებათ მოამზადონ ჟურნალისტური მასალები და დაბეჭდონ გაზეთში, ასევე, გაზეთის ონლაინ გამოცემაში. გარდა ამისა, სტუდენტები გაზეთის რედაქციის ბაზაზე გაივლიან სასწავლო პრაქტიკას და მათი მონაწილეობით მომზადდება სხვადასხვა პროექტები.

ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ასისტენტ პროფესორი თეა ლათიფაშვილი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის (GARB), საქართველოს ჟურნალისტიკის რესურს ცენტრისა და მერსი ქორფის ერთობლივ პროექტში, რომელთა ხელშეწყობითაც საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სკოლის პროფესორებისა და დარგის სპეციალისტების თანაავტორობით მომზადდა სპეცკურსი - *სოფლის მეურნეობის საკითხების გამოქება მედიაში*. კურსი დაეხმარება ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებს უკეთ გაერკვნენ სოფლის მეურნეობის საკითხებში, რაც მნიშვნელოვანია რეგიონისათვის და უკეთ მოახდინონ ამ მიმართულებით პროფესიული კომპეტენციების განვითარება.

ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახემდგანელმა ლალი მამუკაშვილმა მიმდინარე წელს გაიარა ერთთვიანი სტაჟირება სოფლის წმინდა კლიმენტ ოპრიდსკის (ბულგარეთი) უნივერსიტეტში (ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამა HERMES-ი აკადემიური პერსონალისათვის); მისი პროფესიული და აკადემიური გამოცდილება ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის შემდგომ დახვეწას.

3. სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა :

1. ცვლილება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ აუცილებელია სტუდენტმა იცოდეს თანამედროვე მიდგომები აგრარული ბიზნესის განვითარებისათვის;

1. ცვლილების მიზანია სასწავლო კურსის როგორც სტრუქტურული, ისე შინაარსობლივი დახვეწა

2. შეფასების სისტემის ცვლილების მიზანია სტუდენტების ცოდნის შეფასება მოხდეს უფრო დახვეწილი სისტემით, პროფესორ-მასწავლებელს მიეცეს მეტი თავისუფლება, რომ თავად განსაზღვროს შუალედური შეფასების მეთოდები და ფორმები.

4. მათემატიკის საბაკალავრო პროგრამა: პროგრამის შემადგენელი კომპონენტების ლოგიკური ბმის უზრუნველყოფა და შედეგად, პროგრამის გაუმჯობესება.

5. ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილების მიზანია, პროგრამის კურიკულუმის სრულყოფა და განვითარება.

6. აგრონომიის საბაკალავრო პროგრამა:

1. საკითხები სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღების შესახებ შეტანილი იქნა სასწავლო კურსში მიწათმოქმედება ნიადაგთმცოდნეობის საფუძვლებით, ამიტომ მის ნაცვლად შეტანილი იქნა სასწავლო კურსი საკვებწარმოება, რადგან აგრონომმა უნდა იცოდეს მეცხოველეობისათვის სრულფასოვანი საკვების დამზადების მექანიზმი და სასოფლო-სამეურნეო კულტურების შერჩევის პირობები, მისი სრულყოფილი აგროტექნოლოგიის საკითხები.

2. სასწავლო კურსს მებოსტნეობა კითხულობდა ასოცირებული პროფესორი მანანა კველიშვილი, რომელიც ამჟამად არის ფაკულტეტის დეკანი, ამიტომ შეუმცირდა საათობრივი

დატვირთვა და მოწვეულ იქნა შესაბამისი მიმართულების დოქტორი ლელა ბაზერაშვილი

3. ცვლილება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ აუცილებელია სტუდენტმა იცოდეს თანამედროვე მიდგომები აგრარული ბიზნესის განვითარებისათვის;

7 კვების პროდუქტების ტექნოლოგიების (სასმელების ტექნოლოგია, სურსათის უვნებლობა) სამაგისტრო პროგრამა: ცვლილების მიზანია სასწავლო კურსის როგორც სტრუქტურული, ისე შინაარსობრივი დახვეწა შეტანილი ცვლილება მნიშვნელოვანია მაგისტრანტების ცოდნის დონის ამაღლებისათვის ის ხელს შეუწყობს მათ საფუძვლიანად დაეუფლონ სპეციალობის იმ სასწავლო კურსებს, რომლებიც მნიშვნელოვანია კვალიფიციური კადრის მომზადებისათვის.

8 ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია სადოქტორო პროგრამა:

მოხდა აკადემიური პერსონალისათვის ხელშეკრულების შეწყვეტა და შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალი დატვირთულ იქნა კვალიფიკაციისა და გამოცდილების მიხედვით.

9. სამაგისტრო პროგრამა „ტიპოლოგიური ლინგვისტიკა და მთარგმნელობითი საქმე“: პროგრამის შეუფერხებელი მუშაობა, სასურველი შედეგების მიღწევა.

10. სადოქტორო პროგრამა „ფილოლოგია“: პროგრამის მოქნილობა, სასურველი შედეგების მიღწევა; საერთაშორისო სტანდარტების მქონე მაღალკვალიფიციური პროფესიონალის მომზადება; მომავალში პროგრამული აკრედიტაციის წარმატებით გავლა. დოქტორანტი, რომელიც აირჩევს „ლინგვისტიკის“ სასწავლო კურსს, კიდევ უფრო მეტად გაიღრმავებს ცოდნას ლინგვისტური სტილისტიკის აქტუალურ საკითხებზე; ენობრივი სისტემის ფაქტებზე მათი ემოციური შინაარსის თვალსაზრისით – მეტყველებაში გრძნობათა სფეროს მოვლენების გამოხატულებასა და ენობრივი ფაქტების გრძნობათა მოქმედებაზე. გაეცნობა ამ სფეროს აღიარებულ მკვლევართა შეხედულებებს; კურსი მიზნად ისახავს ლინგვისტური სტილისტიკის საკითხთა ანალიზს ქართული და სამიზნე/საკვლევი ენების შედარება-შეპირისპირების პრინციპებზე დაყრდნობით, რაც ხელს შეუწყობს დოქტორანტის მაღალპროფესიონალიზმს.

ცვლილების შედეგი

- 1) ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა გახდა უფრო მოქნილი და დახვეწილი.
- 2) განხორციელებული ცვლილებებითა და ჟურნალისტიკის მიმართულების გამდიდრებით მასკომუნიკაცია/ჟურნალისტიკის უახლესი სახელმძღვანელოებითა და ლიტერატურით, ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო პროცესი გახდა უფრო მეტად შესაბამისი პროგრამის მიზნებსა და დასახულ შედეგებთან.
- 3) სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა: პროგრამაში შეტანილი ცვლილება მნიშვნელოვანია სტუდენტების ცოდნის დონის ამაღლებისათვის ის ხელს შეუწყობს მათ საფუძვლიანად დაეუფლონ სპეციალობის იმ სასწავლო კურსებს, რომლებიც მნიშვნელოვანია კვალიფიციური სასურსათო ტექნოლოგის მომზადებისათვის.
- 4) მათემატიკის საბაკალავრო პროგრამა: გაუმჯობესებული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სტრუქტურის ლოგიკურ კავშირს.
- 5) ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის სრულყოფის შედეგად გაუმჯობესდა სტუდენტის სწავლის შედეგზე გასვლის მიღწევადობა, გაიზარდა მათი მოტივაცია სწავლისადმი.
- 6) აგრონომიის საბაკალავრო პროგრამა : პროგრამაში შეტანილი ცვლილება მნიშვნელოვანია სტუდენტების ცოდნის დონის ამაღლებისათვის ის ხელს შეუწყობს მათ საფუძვლიანად დაეუფლონ სპეციალობის იმ სასწავლო კურსებს, რომლებიც მნიშვნელოვანია კვალიფიციური აგრონომის მომზადებისათვის.
- 7) კვების პროდუქტების ტექნოლოგიების (სასმელების ტექნოლოგია, სურსათის უვნებლობა) სამაგისტრო პროგრამა: შეტანილი ცვლილებები მნიშვნელოვანია სტუდენტების ცოდნის დონის

ამაღლებსათვის ის ხელს შეუწყობს მათ საფუძვლიანად დაეუფლონ სპეციალობის იმ სასწავლო კურსს, რომელიც მნიშვნელოვანია კვალიფიციური კადრის მომზადებისათვის კვების პროდუქტების ტექნოლოგიებში.

8. ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია სადოქტორო პროგრამა:

პროგრამაში შეტანილი ცვლილება მნიშვნელოვანია დოქტორანტების ცოდნის დონის ამაღლებისათვის ის ხელს შეუწყობს მათ საფუძვლიანად დაეუფლონ სპეციალობის იმ სასწავლო კურსებს, რომლებიც მნიშვნელოვანია კვალიფიციური კადრის მომზადებისათვის.

9. სამაგისტრო პროგრამა „ტიპოლოგიური ლინგვისტიკა და მთარგმნელობითი საქმე“: პროგრამით გათვალისწინებული მიზნების სრულფასოვნად განხორციელება და პროგრამით დაინტერესების გაზრდა.

10. სადოქტორო პროგრამა „ფილოლოგია“: პროგრამით დაინტერესების გაზრდა.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

- 1) ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში გასაუმჯობესებელია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხი, სასურველია უცხოენოვანი კურსების შემუშავება პროგრამის ფარგლებში. პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ძლიერი აკადემიური პერსონალი, თანამედროვე ლიტერატურა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის მაღალი დონე.
- 2) ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაში სასურველია გაუმჯობესდეს მატერიალურ ტექნიკური ბაზა, უმჯობესია განახლდეს ტექნოლოგიური აღჭურვილობა. პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს კარგი კლინიკა, თანამშრომლობა ადგილობრივ მედია საშუალებებთან, ძლიერი აკადემიური პერსონალი, თანამედროვე ლიტერატურა.
- 3) სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა: ძლიერი მხარეს წარმოადგენს თანამედროვე ლაბორატორია, უნივერსიტეტის საცდელი ნაკვეთი, რეგიონის სპეციფიკა და ძლიერი აკადემიური პერსონალი. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით სასურველია თანამედროვე ტექნოლოგიების უფრო მეტი გამოყენება პროგრამის განხორციელებისას.
- 4) მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამა ითვალისწინებს სპეციფიკურ მიმართულებას „ფუნქციათა თეორია და ფუნქციონალური ანალიზი“, რომელიც საშუალებას იძლევა კურსდამთავრებულის შემდგომ საფეხურზე იგივე მიმართულებით სწავლის გაგრძელებისა. ხოლო გასაუმჯობესებელ მხარეს წარმოადგენს საბიბლიოთეკო ფონდის განახლება და გაძლიერება, სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების უწყვეტად გაუმჯობესება, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების გამართვა პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, ინტერნაციონალიზაციის ელემენტების შემდგომი განვითარება. ქართულ ენაზე დარგის თანამედროვე ლიტერატურის ნაკლებობა.
- 5) ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კაბიტეტ-ლაბორატორიები, კვალიფიციური პერსონალი. ხოლო პროგრამის განვითარებისათვის ვგეგმავთ მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების განვითარებას, უფრო მეტი არჩევითი სასწავლო კურსის დანერგვას, უახლესი სასწავლო ლიტერატურის მოძიებას, ახალი ელექტრონული სალექციო კურსებისა და რიდერების მომზადებას, კვლევითი აქტივობების გაძლიერებას.
- 6) აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ძლიერი აკადემიური პერსონალი, განახლებული ლაბორატორიები, საცდელი მიწის ნაკვეთი სწავლის შედეგზე ორიენტირებული კურიკულუმი. პროგრამა საჭიროებს არჩევითი საგნების მრავალფეროვნებას, აუდიტორიების შერემონტებას და თანამედროვე სასწავლო ინვენტარით აღჭურვას.
- 7) კვების პროდუქტების ტექნოლოგიების (სასმელების ტექნოლოგია, სურსათის უვნებლობა)

სამაგისტრო პროგრამა: ძლიერ მხარეს წარმოადგენს ძლიერი აკადემიური პერსონალი, განახლებული კვლევაზე ორიენტირებული ლაბორატორიები, საცდელი მიწის ნაკვეთი სწავლის შედეგზე ორიენტირებული კურიკულუმი.

პროგრამა საჭიროებს არჩევითი საგნების მრავალფეროვნებას, აუდიტორიების შერემონტებას და თანამედროვე სასწავლო ინვენტარით აღჭურვას.

8.. ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია სადოქტორო პროგრამა:

ძლიერ მხარეს წარმოადგენს ძლიერი აკადემიური პერსონალი, განახლებული კვლევაზე ორიენტირებული ლაბორატორიები, სწავლის შედეგზე ორიენტირებული კურიკულუმი.

პროგრამა საჭიროებს აუდიტორიების შერემონტებას და თანამედროვე სასწავლო ინვენტარით აღჭურვას, კვლევის ჩასატარებლად ლაბორატორიების აღჭურვას თანამედროვე აპარატურით.

სამაგისტრო პროგრამა „ტიპოლოგიური ლინგვისტიკა და მთარგმნელობითი საქმე“: შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან და აქტუალობა; პროგრამის განმხორციელებელი ადამიანური რესურსის არსებობა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; კარგად ორგანიზებული კურიკულუმი; გათვალისწინებული სწავლის შედეგების (დარგობრივი/ზოგადი) მიღწევადობა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება; ინტერნაციონალიზაციის მიზნით სტუდენტთა აკადემიური პერსონალის მობილობა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; შემდგომი სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები; პროგრამაზე სწავლის მოთხოვნადობა და შემოსული თანხებით უნივერსიტეტის ფინანსური სიძლიერის ხელშეწყობა; შესატყვისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტის მოთხოვნა შრომის ბაზარზე და რეალური დასაქმებულობა; ბაზრის საბაზისო კვლევა.

უსტი მხარეები

რომითი ბაზრის ფართომასშტაბიანი კვლევის არ არსებობა; გარეხელშემწყობი ბიზნეს პარტნიორის არ არსებობა; უცხოელი კადრის არ არსებობა.

10. სადოქტორო პროგრამა „ფილოლოგია“:

სადოქტორო – ფილოლოგია („ტიპოლოგიური ლინგვისტიკა“, „ქართული ლიტერატურა“)

დამმდგანელები: პროფ. ნ.გელდიაშვილი, პროფ. ნ. კოჭლოშვილი, პროფ. მ.დარიბაშვილი

ძლიერი მხარეები

შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან და აქტუალობა; პროგრამის განმხორციელებელი ადამიანური რესურსის არსებობა; შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; სამეცნიერო პროექტზე დაფუძნება; კარგად ორგანიზებული კურიკულუმი; გათვალისწინებული სწავლის შედეგების (დარგობრივი/ზოგადი) მიღწევადობა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება; ინტერნაციონალიზაციის მიზნით სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; პროგრამაზე სწავლის მოთხოვნადობა და შემოსული თანხებით უნივერსიტეტის ფინანსური სიძლიერის ხელშეწყობა; შესატყვისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტის მოთხოვნა შრომის ბაზარზე და რეალური დასაქმებულობა.

სუსტი მხარეები

თანამედროვე ლიტერატურის ნაკლებობა ბიბლიოთეკის ფონდში; გარეხელშემწყობი ბიზნეს პარტნიორის არ არსებობა; უცხოელი კადრის არ არსებობა.

3. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი:

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

ფაქტობრივი მისამართი	1) თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა #1, 2200, 14561,8 კვ. მ; 2) თელავი, თბილისის გზატკეცილი #26, 2200; 12703 კვ.მ; 3) თელავი, ჭავჭავაძის მოედანი #3, (სტომატოლოგიური პ/კლინიკა) 244,02კვ.მ; 2200.
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	1) 532042052; 2) 53.20.34.035; 3) 532037081;
კვ.მ.	1) 14561,8; 2) 12703; 3) 244,02; (სულ: 27508, 82 კვ.მ)
დაწესებულების სასწავლო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ფაქტობრივი მისამართი	1. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. #1; 6121.1

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

	კვ.მ; 2. თელავი თბილისის გზატკეცილი #26. 1621,3 კვ.მ 3.თელავი, ჭავჭავაძის მოედანი #3 (სტომატოლოგიური პ/კლინიკა) 62,55;
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	1) 532042052; 2)53.20.34.035; 3)532037081;
კვ.მ.	6121,1+1621,3 + 62,55 (სულ: 7804, 95 კვ.მ)
დაწესებულების დამხმარე ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ფაქტობრივი მისამართი	1.თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა #1, 8440.7კვ.მ; 2. თელავი, თბილისის გზატკეცილი #26, 2084,2 კვ.მ; 3. თელავი, ჭავჭავაძის მოედანი#3, (სტომატოლოგიური პ/კლინიკა) 181,47კვ.მ; 4. თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი გულგულა, სასწავლო საცდელი ნაკვეთი 160 000 კვ.მ
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	1)532042052; 2)53.20.34.035; 3)532037081; 4) 53.09.34.034;
კვ.მ.	სულ: 160 706,37 კვ.მ.
დადასტურება	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები

აღწერა	<p>თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული და იჯარით აღებული უძრავი და მოძრავი მატერიალური რესურსი ემსახურება სასწავლებლის მიზნების რეალიზებას და იძლევა უნივერსიტეტში ფუნქციონირებადი საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამებით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუფერხებლად და გამართულად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია ოთხი კეთილმოწყობილი მრავალსართულიანი სასწავლო კორპუსი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ორსართულიანი ბიბლიოთეკა, რომელიც ჩართულია საერთაშორისო საბიბლიოთეკო გაერთიანებაში და მის კონსორციუმში; საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების ქსელში, გააჩნია სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, დახურული სპორტული დარბაზი, სასტუმრო და დამხმარე შენობა-ნაგებობები. აღნიშნული შენობა-ნაგებობები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და სასწავლო პროცესის გამართული მუშაობისათვის საჭირო კაბინეტ-ლაბორატორიებითა და სხვა მატერიალური რესურსებით. სააქტო, საკონფერენციო და სხდომათა დარბაზები აღჭურვილია ხმის გამაძლიერებლებით, პროექტორის ეკრანებით და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიებით. სასწავლო კორპუსებში და ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ერთიანი რადიო ქსელი. უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და კეთილმოწყობა, საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში კი - სახანძრო უსაფრთხოება და საევაკუაციო პირობები. დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების</p>
---------------	--

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

	<p>მიზნების რეალიზაციისათვის, შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს.</p> <p>უნივერსიტეტში გამართულად ფუნქციონირებს გათბობის, ვენტილაციის, კონდიციონერების, განათების, წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემები. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ორენოვანი ვებ-გვერდი, გამომცემლობა, IT სამსახური. უნივერსიტეტში დანერგილია საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის არა მხოლოდ სამუშაო საათებში. უნივერსიტეტის ბალანსზე ირიცხება უნივერსიტეტის მფლობელობაშია 12 ცალი ნოუთბუქი, 46 ცალი კომპიუტერი, 94 ცალი პენტიუმ 3 და პენტიუმ 4 კომპიუტერი, 40 კომპიუტერი. 10 ც. ნოუთბუქი, 68 პერსონალური კომპიუტერი. აღნიშნული კომპიუტერები განლაგებულია ექვს კომპიუტერულ ცენტრში და კაბინეტ-ლაბორატორიებში. ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია შეუზღუდავად კვირაში 6 დღე. საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების მისაღწევად ასევე გამოიყენება პროექტორები და სხვა ტექნიკური საშუალებები. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კორპორატიული ელექტრონული ფოსტა.</p>
დადასტურება	ამონაწერები საჯარო რეესტრიდან და ნასყიდობის ხელშეკრულებები.

2.2 დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უზრუნველყოფს დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას

აღწერა	<p>უნივერსიტეტის სტრუქტურა განთავსებულია ვებგვერდზე (www.tesau.edu.ge). დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ყველა სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით, რომელიც ჩართულია შიდა და ინტერნეტ ქსელებში, საინფორმაციო-საძიებო სისტემით (GSS გარემო), საჭირო ინვენტარითა და</p>
დადასტურება	<p>უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებით, რომლებიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობით საბჭოზე, განთავსებულია ვებ გვერდზე (www.tesau.edu.ge), ვებ-სერვერის მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით, საინფორმაციო-საძიებო სისტემის (GSS გარემო) მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით.</p>

2.3 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

აღწერა	<p>უნივერსიტეტში გამართულად ფუნქციონირებს გათბობის, ვენტილაციის, კონდიციონერების, განათების, წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემები.</p>
დადასტურება	უნივერსიტეტის ფაქტობრივი მდგომარეობით და ინფრასტრუქტურით.

2.4 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

- ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი
- კი
- ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

კი	
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
უნივერსიტეტში არსებობს სამედიცინო დახმარების პუნქტი	
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები	
უნივერსიტეტში არსებობს სათვალთვალო კამერები და დაცვის სამსახური.	
დადასტურება	<p>ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი - სახანძრო დახმარების სტენდი სათანადო ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობით;</p> <p>ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;</p> <p>გ) გამოყოფილია ფართი, სადაც ინახება პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები და გამოყოფილია პირი, რომელსაც აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის უნარი;</p> <p>დ) დაცვის სამსახური და სათვალთვალო კამერები.</p>

2.5 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის	
აღწერა	უნივერსიტეტს აქვს ნაწილობრივ ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის. კერძოდ, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შესასვლელში მიშენებულია პანდუსი, რათა ასეთი საჭიროების მქონე სტუდენტებმა შეძლონ პირველ სართულზე ასვლა და საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა.
დადასტურება	პანდუსის არსებობა პირველი კორპუსის შემოსასვლელში.

2.6 მატერიალური რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის	
აღწერა	უნივერსიტეტის მფლობელობაშია 12 ცალი ნოუთბუქი, 46 ცალი კომპიუტერი, 94 ცალი პენტიუმ 3 და პენტიუმ 4 კომპიუტერი, 40 კომპიუტერი. 10 ც. ნოუთბუქი, 68 პერსონალური კომპიუტერი. აღნიშნული კომპიუტერები განლაგებულია ექვს კომპიუტერულ ცენტრში და კაბინეტ-ლაბორატორიებში.
დადასტურება	კომპიუტერული ტექნიკის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები.

2.7 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში	
აღწერა	<p>უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, აგრეთვე მართვაში აქტიურად გამოიყენება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, როგორცაა ინტერნეტი, შიდა ქსელი, ტელეფონები, ელექტრონული ფოსტა, ვებგვერდი (www.tesau.edu.ge) და სხვ.</p> <p>შექმნილია სტუდენტთა მონაცემების ბაზა, რომლის მეშვეობით წარმოებს სტუდენტის პირადი მონაცემების, აკადემიური მოსწრების და ადმინისტრაციული დავალიანების განსაზღვრა. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, პრინტერებით. კომპიუტერულ კლასებში არის კომპიუტერები, პრინტერები და პროექტორი. ადმინისტრაციული შტატის ოთახებში არის კომპიუტერები, პრინტერები კოპირებისა და სკანირების საშუალებით და ქსეროქსები.</p>

დადასტურება	უნივერსიტეტის ფაქტობრივი ტექნოლოგიური აღჭურვილობით. ნასყიდობის ინვოისებით და ხელშეკრულებით "GSS გარემოსთან".
--------------------	--

2.8 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას, ასევე უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა

აღწერა	<p>ბიბლიოთეკაში არსებობს როგორც ქაღალდის კატალოგი, ისე ელექტრონული (საერთაშორისო ინტეგრირებული ელექტრონული კატალოგის სისტემა (EVERGREEN), (EBSCO). ქაღალდის კატალოგი არის ანბანური და სისტემატიური (ანუ საგნობრივი). ბიბლიოთეკა მუშაობს დებულების შესაბამისად, რომლის მე-8 მუხლი განსაზღვრავს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს. ბიბლიოთეკის დებულება დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე [2007 წლის 25 აპრილს ოქმი №8. (ცვლილებები შეტანილია და დამტკიცებულია კოლეგიური საბჭოს სხდომაზე 2012.წ. 31 ივლისს ოქმი #8)]. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:</p> <ul style="list-style-type: none"> ❖ პრაქტიკული და მოსახერხებელი ორმხრივი და კედელში ჩამართული ცალმხრივი წიგნების ხის თაროებით; ❖ მაგიდებით და სკამებით, სადაც მკითხველს ეძლევა ინდივიდუალურად მუშაობის შესაძლებლობა; ❖ ორი კონდიციონერით და სხვა. <p>სამკითხველო დარბაზს ემიჯნება იქვე, სივრცულად განთავსებული ბიბლიოთეკის საინფორმაციო-კომპიუტერული ცენტრი ინტერნეტში ჩართული 16 კომპიუტერით, შესაბამისი მაგიდებითა და სკამებით. კომპიუტერულ ცენტრში ინტერნეტში მუშაობის გარდა, ასევე შესაძლებელია ელექტრონული მონაცემთა ბაზების მოხმარება (ჟურნალები, სამეცნიერო ჟურნალები, საცნობარო გამოცემები მეცნიერების სხვადასხვა დარგში და სხვა). ბიბლიოთეკაში უზრუნველყოფილია მკითხველის მომსახურება ქსეროქსის, პრინტერის და სკანერის აპარატებით სარგებლობის დადგენილი წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> ❖ საჭირო და აუცილებელი საცნობარო ლიტერატურა (ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ბიბლიოგრაფიული სამიებლები და სხვა სახის ლიტერატურა), პერიოდიკა (ბეჭდური – ზოგადი და სასწავლო პროგრამების შესაბამისი დარგობრივი ჟურნალ-გაზეთები); ❖ სახელმძღვანელოები, რომლებიც თაროებზე განლაგებულია მიმართულებების მიხედვით. ❖ ბიბლიოთეკას აქვს აბონემენტი, წიგნსაცავი, აუდიტორია I და აუდიტორია II, კვების ბლოკი და სველი წერტილები. <p>სამკითხველო დარბაზში ასევე ფუნქციონირებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ❖ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის კუთხე, რომელიც რეგულარულად კომპლექტდება შესაბამისი ლიტერატურით; ❖ ნატოს, გაეროს მოდელირების და ევროკავშირის საინფორმაციო კუთხეები. <p>უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებში.</p>
---------------	---

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

დადასტურება	<ol style="list-style-type: none"> 1. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (მისამართი: ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1); 2. ბიბლიოთეკის დებულებითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით, რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე; 3. ელექტრონული მონაცემთა ბაზების ჩამონათვალითა და ლიტერატურის ელექტრონული საძიებელით (საერთაშორისო ინტეგრირებული ელექტრონული კატალოგის სისტემა (EBSCO) , (EVERGREEN), რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. 4. ელექტრონული წიგნებითა და სალექციო კურსებით, რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
--------------------	---

2.9 დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკის კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი

აღწერა	<p>ბიბლიოთეკაში არსებობს როგორც ქალაქის კატალოგი, ისე ლიტერატურის ელექტრონული საძიებელი (საერთაშორისო ინტეგრირებული ელექტრონული კატალოგის სისტემა (EVERGREEN)). ქალაქის კატალოგი არის ანბანური და სისტემატიური (ანუ საგნობრივი). ბიბლიოთეკა მუშაობს დებულების შესაბამისად, რომლის მე-8 მუხლი განსაზღვრავს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს. ბიბლიოთეკის დებულება დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე [2007 წლის 25 აპრილს ოქმი №8. (ცვლილებები შეტანილია და დამტკიცებულია კოლეგიური საბჭოს სხდომაზე 2012.წ. 31 ივლისს, ოქმი #8)].</p>
დადასტურება	<ol style="list-style-type: none"> 1. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. (მისამართი: ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1); 2. ბიბლიოთეკის დებულებითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით, რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე; 3. ელექტრონული მონაცემთა ბაზების ჩამონათვალითა და ლიტერატურის ელექტრონული საძიებელით (საერთაშორისო ინტეგრირებული ელექტრონული კატალოგის სისტემა (EVERGREEN)), რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. 4. ელექტრონული წიგნებითა და სალექციო კურსებით, რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

2.10 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

აღწერა	<p>უნივერსიტეტი ჩართულია ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის სისტემაში (EFLOW), ხოლო აღნიშნულ ქსელში ჩართვამდე გამოცემული აქტების, შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია და აღრიცხვა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობდა კანცელარიაში. ყველა აღნიშნული დოკუმენტი ინახება დედანში. კანცელარია მუშაობს დებულების შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე 2016 წლის 30 მაისს, ოქმი #6 30.05.2016. შემუშავებულია საქმის წარმოების წესი, რომელიც ვრცელდება დოკუმენტაციის ყველა სახეზე. კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> ❖ სპეციალურ ჟურნალებში აღირიცხება შემოსული და გასული კორესპონდენცია; ❖ რეგისტრაციაში ტარდება გამოცემული აქტი, რომლებსაც მიმართულება
---------------	---

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

	<p>ემლევა უნივერსიტეტის რექტორის რეზოლუციის შესაბამისად;</p> <ul style="list-style-type: none"> ❖ 2010 წლიდან უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ბრძანებები რეგისტრირდება ცალკე ბრძანებათა წიგნებში; ❖ ბრძანებები, შემოსული და გასული კორესპონდენციები აღირიცხება კალენდარული წლების მიხედვით; ❖ კანცელარიაში შემოსული ყველა დოკუმენტის გაცემა დასტურდება ადრესატის ხელმოწერით; ❖ აქტები და ოფიციალური წერილები ფორმდება სპეციალურად შემუშავებულ ბლანკზე, რომელზეც მითითებულია უნივერსიტეტის დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია; <p>რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებები ფორმდება სპეციალურ ბლანკზე.</p>
დადასტურება	<ol style="list-style-type: none"> 1. უნივერსიტეტის კანცელარიის დებულებით (დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე 2016 წლის 30 მაისს, ოქმი #6 30.05.2016.) , რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე; 2. ბოლო ხუთი წლის მასალებით, რომლებიც ინახება კანცელარიაში; 3. არქივით, სადაც განთავსებულია პირადი საქმეები 1939 წლიდან და ბრძანებათა წიგნები 1972 წლიდან.

2.11 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

აღწერა	<p>თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ასრულებს საინფორმაციო–საკომუნიკაციო ფუნქციას და არის ორენოვანი. მისი ერთ–ერთი ენაა ქართული და გამოიყენება ქართული უნიკოდი „სილფაენი“, ხოლო მეორე ენაა – ინგლისური. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია ინგლისურ ენაზე. ვებ-გვერდის საშუალებით ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საკონტაქტო ინფორმაცია, წესდება, სტრუქტურა, ბიუჯეტი და ყველა მნიშვნელოვანი სიახლე თუ დოკუმენტაცია, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტის საქმიანობასთან. ვებ-გვერდზე განთავსებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის მომწესრიგებელი ბრძანებები და დებულებები, სტუდენტის ჩარიცხვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები. ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ფაკულტეტების შესახებ, მათ შორის მონაცემები აკადემიურ პერსონალსა თუ მოწვეული მასწავლებლების/მკვლევარების შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამები საფეხურების მიხედვით, სტუდენტთა სახელობითი სიები სპეციალობების/პროგრამების შესაბამისად. ასევე განთავსებულია ინფორმაცია ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების, ფაკულტეტის საბჭოს, სადისერტაციო საბჭოს და ეთიკის კომისიის შესახებ. ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია უნივერსიტეტის ყველა ძირითადი სტრუქტურული ერთეულის შესახებ, მონაცემები მათი საქმიანობის განმსაზღვრელ წესსა და ადამიანური რესურსის შესახებ, ძირითადი დოკუმენტები და სხვა. ვებ-გვერდზე ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად და მასზე განთავსებულია ნებისმიერი აქტუალური ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ. ვებ-გვერდს აქვს</p>
---------------	---

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

	ინფორმაციის საძიებელი და მასზე აისახება განახლების ბოლო ვადა.
დადასტურება	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციით (http://www.tesau.edu.ge).

2.12 უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევების დაფინანსება

აღწერა	უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევით პროგრამებსა და პროექტებში დასახული მიზნების რეალიზებისათვის ყოველწლიურად იგეგმება კვლევების დაფინანსებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსი. უნივერსიტეტის შემოსავლების 7% გამოყოფილია სამეცნიერო კვლევების დასაფინანსებლად. აღნიშნული თანხის ფარგლებში ფინანსდება სხვადასხვა სამეცნიერო ფონდებში მაღალი ქულით შეფასებული სამეცნიერო პროექტები, უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოზე დამტკიცებული სხვადასხვა კვლევები.
დადასტურება	ბიუჯეტითა და უნივერსიტეტის ფინანსურ-ბუღალტრული დოკუმენტაციით.

2.13 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

აღწერა	უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან. აკადემიური მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან ერთად, ის ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.
დადასტურება	აკადემიური საბჭოს ოქმი: #20 16,04. 2015 წელი.

2.14 საანგარიშო პერიოდში მატერიალური რესურსის სტანდარტთან მიმართებით განხორციელებული ცვლილებები

ცვლილების აღწერა	
გარემონტდა პირველი და მეორე კორპუსის აუდიტორიები;	
ცვლილების მიზანი	
უკეთესი სასწავლო გარემოს შექმნა;	
ცვლილების შედეგი	
გაუმჯობესდა სასწავლო გარემო;	
ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები	

უნივერსიტეტი მფლობელობაშია კარგი ინფრასტრუქტურა თუმცა საჭიროებს სარემონტო სამუშაოს. სარემონტო სამუშაოები დაგეგმილია და ხორციელდება ეტაპობრივად.

5. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, მკვლევართა და მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

აღწერა	<p>უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, მკვლევარებისა და მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობები დაკავებული აქვთ მეცნიერებათა დოქტორის, კანდიდატის ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება სრული, ასოცირებული, ასისტენტ პროფესორებისაგან და ასისტენტებისგან. ისინი აკადემიურ თანამდებობებზე არჩეულნი არიან ღია კონკურსის წესით. ინფორმაცია კონკურსის შესახებ საჯაროა: ის შუქდება პრესაში და განცხადების განთავსება ხდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.tesau.edu.ge). უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი. კონკურსის ჩატარება თავსებადობაშია "უმადლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ ეტაპებსა და ვადებთან;</p>
დადასტურება	<p>აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, მკვლევართა და მოწვეული პერსონალის პირად საქმეებში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრით.</p>

3.2 დაწესებულებაში სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა დაწესებულების სახისა და პროგრამების რაოდენობის მიხედვით

აღწერა	<p>თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №99/ნ ბრძანებით განსაზღვრულ სტანდარტებს უნივერსიტეტის სახისა და პროგრამების რაოდენობის მიხედვით.</p> <p>პროფესორი ---- 18 ასოცირებული პროფესორი ---- 58 ასისტენტ პროფესორი ----- 27 ასისტენტი - - - - -8</p> <p>სულ: 111 აკადემიური პერსონალი.</p> <p>უნივერსიტეტის სტუდენტთა რაოდენობა 2017 წლის 12 სექტემბრის მდგომარეობით აღწევს 1176 აქტიურ სტუდენტს: (უმადლესი 1028) პროფესიული სტუდენტი 148.</p>
დადასტურება	<p>ხელშეკრულებები და აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები.</p>

სტუდენტების რაოდენობა	
სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	2697
აქტიური სტუდენტების რაოდენობა	1064 სტუდენტი აკადემიურ პროგრამებზე; 148 სტუდენტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

	პროფესიულ პროგრამებზე; უმაღლესი პროფესიული 1 სტუდენტი; ჯამში: 1212 სტუდენტი
სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა	628
სსსმ სტუდენტების რაოდენობა	-----

აკადემიური პერსონალის რაოდენობა	
პროფესორი	18
ასოცირებული პროფესორი	58
ასისტენტ-პროფესორი	27
ასისტენტი	8
სულ	111

დაწესებულების სტუდენტების რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით:	
საგანმანათლებლო პროგრამა	რაოდენობა
საბაკალავრო პროგრამა	895
სამაგისტრო პროგრამა	54
სადოქტორო პროგრამა	89
ერთსაფეხურიანი	17
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	0
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	7
უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	1

3.3 საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ხორციელდება მხოლოდ მოწვეული პერსონალის, მკვლევარების ან მასწავლებლების მიერ	
აღწერა	-----
დადასტურება	-----

3.4 აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	
აღწერა	<p>თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების, უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე დადგენილი და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ“ დებულებისა და „აკადემიური თანამდებობების შესარჩევი საკონკურსო კომისიის რეგლამენტის“ პირობების სრული დაცვით.</p> <p>უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შერჩეულია ღია კონკურსის წესით, რომელიც შეესაბამება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. კონკურსები ტარდება თანასწორობის დაცვით, ვინაიდან ყველა კონკურსანტი იმყოფება თანაბარ პირობებში. ინფორმაცია კონკურსების ჩატარების თითოეული ეტაპის შესახებ არის ღია და ხელმისაწვდომი</p>

	<p>ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. საზოგადოებისათვის ცნობილია კონკურსის ჩატარების თარიღი და შერჩევის წინასწარ დადგენილი კრიტერიუმები. კონკურსის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, გამოკრულია ყველა სასწავლო კორპუსის განცხადებების დაფაზე, ცხადდება ტელევიზიით. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დაკავების კონკურსი ტარდება შემდეგი ეტაპებისა და ვადების დაცვით:</p> <ul style="list-style-type: none"> ❖ ფაკულტეტების საბჭოების დადგენილებების საფუძველზე ცხადდება აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსი, რაც ქვეყნდება მის ჩატარებამდე ორი თვით ადრე; ❖ საბუთების მიღება მიმდინარეობს კადრების განყოფილებაში სამი კვირის განმავლობაში; ❖ „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ“ დებულების თანახმად და შემოსული განცხადებების საფუძველზე იწერება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება მონაწილეთა კონკურსში დაშვების შესახებ; ❖ იქმნება საკონკურსო დარგობრივი კომისიები მიმართულებების მიხედვით, რათა დადგინდეს კონკურსანტების კვალიფიკაციის შესაბამისობა დასაკავებელ თანამდებობებთან. კომისია მუშაობს ორ ეტაპად: ❖ კომისიის წევრების მიერ განიხილება კონკურსანტების საბუთები საკონკურსო ქულების დასათვლელად; ❖ კომისიის წევრები ატარებენ გასაუბრებას კონკურსანტებთან; ❖ დარგობრივი კომისიები გამარჯვებულ კონკურსანტებს უწევენ წერილობით რეკომენდაციებს; ❖ ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებებისა და აკადემიური საბჭოს დადგენილებების საფუძველზე, კონკურსანტები უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იკავებენ შესაბამის აკადემიურ თანამდებობას; <p>აკადემიურ პერსონალთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p>
<p>დადასტურება</p>	<p>1. უნივერსიტეტის წესდებით, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;</p> <p>2. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2009 წლის 24 ივნისის დამტკიცებული „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ“ დებულებით, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;</p> <p>3. „აკადემიური თანამდებობების შესარჩევი საკონკურსო კომისიის რეგლამენტი“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;</p> <p>4. უნივერსიტეტის რექტორის 2009 წლის 11 სექტემბრის №367-ე და 2009 წლის 21 დეკემბრის №582-ე, 2011 წლის 15 სექტემბრის 1/325, 2013 წლის 6 თებერვლის 1/37, 2013 წლის 28 მაისის 1/226; ბრძ. # 1/450 -09.09.2014; ბრძ. #1/750 - 24.12.2014; ბრძ. # 1/345- 30.07.2015; ბრძ. # 1/23 - 01.02.2016; ბრძ. # 1/46 - 5. 02.2016წ. ბრძ. 1/577 11.09. 2017წ. ბრძანებებით, რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.</p>

<p>3.5 აკადემიურ პერსონალთან, მოწვეული პერსონალთან, მკვლევარებთან ან მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით</p>	
<p>აღწერა</p>	<p>აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, მკვლევარებთან ან მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია</p>

	საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
დადასტურება	შესაბამისი დანიშვნის აქტებით, გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით.

3.6	საანგარიშო პერიოდში ადამიანური რესურსის სტანდარტთან მიმართებით განხორციელებული ცვლილებები
ცვლილების აღწერა	
დაემატა ახალი აკადემიური პროგრამები შესაბამისად დაემატა ახალი აკადემიური პერსონალი;	
ცვლილების მიზანი	
საგანმანათლებლო პროგრამების დამატება	
ცვლილების შედეგი	
დაემატა ახალი აკადემიური პროგრამები	
ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები	
უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი არის ძალიან მაღალი დონის პროფესიონალებით დაკომპლექტებული. საჭიროა უცხოელი პერსონალის ჩართვა პროგრამების განხორციელებაში	

4. თვითშეფასების წლიური ანგარიშის შემუშავების პროცესის აღწერა და პროცესში ჩართული

სტრუქტურული ერთეულების ან/და პირების შესახებ ინფორმაცია

თვითშეფასების წლიური ანგარიშის შემუშავების პროცესში ჩართული იყო ყველა პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კანცელარია, იურიდიული სამსახური, ფინანსური სამსახური, ადმინისტრაცია.

თანდართული დოკუმენტაცია	-----
--------------------------------	-------

შეფასების თარიღი	12.09.2017
-------------------------	------------